



ნიუ-იორკში მყოფი ემიგრანტებისთვის განკუთვნილი რესურსები

თქვენი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად, ნიუ-იორკი მზად არის დასახმარებლად.



საიმიგრაციო იურიდიული დახმარება

უფასო და უსაფრთხო საიმიგრაციო იურიდიული დახმარების მისაღებად დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **800-354-0365** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 9 სთ-დან საღამოს 6 სთ-მდე.



NYC ID ბარათი

შიტანეთ განაცხადი IDNYC-ის მისაღებად, ეს არის უფასო მუნიციპალური საიდენტიფიკაციო ბარათი 10 წლის და უფროსი ასაკის ნიუ-იორკის ყველა მაცხოვრებლისთვის. განაახლეთ ონლაინ ან ჩაეწერეთ რეგისტრაციისთვის და დარეკეთ ნომერზე **311** ან ენვიეთ ვებ-გვერდს: **nyc.gov/idnyc**



ინგლისური ენის კურსები

გაიარეთ ინგლისური ენის უფასო კურსები ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას. ენვიეთ ვებ-გვერდს: **wespeaknyc.cityofnewyork.us** უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად.



ჯანდაცვა

NYC Health+Hospitals (H+H), H+H-ს შეუძლია გადაუდებელი დახმარების, ძირითადი სამედიცინო მომსახურების მიწოდების, იმუნიზაციის და უფრო მეტი მომსახურების განვცის უზრუნველყოფა. დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **718-387-6407** თქვენთან ყველაზე ახლოს მდებარე ცენტრში გადასაყვანად. ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებულ გეგმებში ჩართვის მიზნით, **NYC Care**-ის პროგრამის ჩათვლით, დარეკეთ **646-NYC-CARE (646-692-2273)** ან ენვიეთ **nycare.nyc-ს**.



ფსიქიკური ჯანმრთელობა

კონფიდენციალური მხარდაჭერის და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და წამალდამოკიდებულების რესურსებზე წვდომის მისაღებად, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **888-692-9355** ან **988** გაუგზავნეთ შეტყობინება **WELL-ს** ნომერზე **65173** ან ენვიეთ ვებ-გვერდს: **mentalhealthforall.nyc.gov**



გადაუდებელი დახმარება

გადაუდებელი შემთხვევის დადგომისას დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **911**. გადაუდებელი შემთხვევა არის სიტუაცია, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებელ დახმარებას პოლიციის, სახანძრო დეპარტამენტის ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის მხრიდან. კანონის თანახმად, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს არ შეუძლია იკითხოს დანაშაულის მსხვერპლთა, მონშეთა ან სხვა პირთა საიმიგრაციო სტატუსის შესახებ, როდესაც ისინი ითხოვენ დახმარებას.



სახელმწიფო განათლება

ნიუ-იორკში მაცხოვრებელ **4-21** წლის ასაკის ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს განათლება საჯარო სკოლაში. რეგისტრაციისთვის ენვიეთ ვებ-გვერდს **schools.nyc.gov/fwc** ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311**.



ქალაქის ზოგადი რესურსები და ინფორმაცია

გჭირდებათ რომ ქონდეთ წვდომა ქალაქის რესურსებზე ან გსურთ შეატყობინოთ პრობლემის შესახებ? დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311** ან ენვიეთ ვებ-გვერდს: **portal.311.nyc.gov**



ცხელი ხაზი ნიუ-იორკის იმიგრანტების საკითხებთან დაკავშირებით

დარეკეთ ჩვენს ცხელ ხაზზე **212-788-7654** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9AM-დან 5PM-მდე ან გამოიყენეთ ელექტრონული ფოსტა **askomia@cityhall.nyc.gov**



ნიუ-იორკში მყოფი ემიგრანტებისთვის განკუთვნილი რესურსები

თქვენი საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად, თქვენ გაგაჩნიათ უფლებები.

მოერიდეთ საიმიგრაციო თაღლითობას

თუ გჭირდებათ ემიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე იურიდიული კონსულტაციის მიღება, მიმართეთ მხოლოდ ლიცენზირებულ ადვოკატს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს. უფლებამოსილი და აღიარებული პროვაიდერების სია შეგიძლიათ იპოვოთ ვებ-გვერდზე: nyc.gov/immigrants.

საიმიგრაციო კონტროლთან დაკავშირებული უფლებები

ნიუ-იორკი არ ახორციელებს საიმიგრაციო კონტროლს. თუ მოგმართათ ფედერალურმა საიმიგრაციო სამსახურმა, თქვენ გაქვთ უფლებები. ეწვიეთ ვებ-გვერდს: nyc.gov/knowyourrights ან დარეკეთ საიმიგრაციო იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენს ცხელ ხაზზე, **800-354-0365**.

დასაქმებელი პირების უფლებები

თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ანაზღაურებადი შვებულება ავადმყოფობის გამო, მინიმალური ხელფასი, ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის და უფრო მეტი ნიუ-იორკის კანონმდებლობის მიხედვით. ეწვიეთ ვებ-გვერდს: nyc.gov/workers ინფორმაციის მისაღებად ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **212-436-0381**.

შეტყობინება დისკრიმინაციის შესახებ

ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ნიუ-იორკის კანონის მიხედვით შევიწროვება და დისკრიმინაცია უკანონოა. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული შემთხვევის შეტყობინების მიზნით, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **212-416-0197**.

ოჯახური ძალადობისგან დაცვა

ნიუ-იორკი აქ არის რომ დაგეხმაროთ თუ თქვენზე ძალადობენ. შეგიძლიათ ეწვიოთ ვებ-გვერდს: nyc.gov/nychope ან დარეკოთ ნიუ-იორკის ოჯახური ძალადობის ცხელ ხაზზე: **800-621-HOPE**.

მოიჯარის უფლებები

გჭირდებათ დახმარება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გასახლებას ან თქვენს მეიჯარეს? ეწვიეთ ვებ-გვერდს: nyc.gov/tenantprotection ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311** და თქვით "tenant helpline" (მოიჯარის დახმარების ხაზი) იურიდიული კონსულტაციის მისაღებად.

თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

თუ უსახლკაროდ ხართ უფლება გაქვთ მოითხოვოთ თავშესაფარი. მიიღეთ წვდომა თავშესაფართან დაკავშირებულ მომსახურებებზე სპეციალურ DHS-ის მიმღებ ცენტრში ვიზიტით. გაიგეთ უფრო მეტი და დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311**.

მომხმარებელთა უფლებები

გაქვთ ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემები? თქვენ, როგორც მომხმარებელს, გაქვთ უფლებები. შეიტანეთ საჩივარი ვებ-გვერდზე: nyc.gov/consumers ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე **311**.